GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა/Bachelor Program in International Relations

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი/Bachelor of International Relations

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს შესძინოს:

- **საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი სკოლების, თეორიებისა და პრაქტიკის ფართო ცოდნა;**
- **პოლიტიკური აზრისა და ისტორიის ფართო ცოდნა;**
- **საერთაშორისო ურთიერთობების მომიჯნავე სფეროების ზოგადი ცოდნა; საერთაშორისო ურთიერთობების ფართო კონტექსტში გააზრებისათვის საჭირო მრავალმხრივი განათლება.**

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს **გამოუმუშავოს**:

- **მიმდინარე საერთაშორისო საკითხების გააზრების და კრიტიკული ანალიზის უნარი;**
- **საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებულ თეორიებზე დაყრდნობით დასკვნის ჩამოყალიბებისა და პრობლემის გადაჭრის უნარი;**
- **პროფესიულ და არაპროფესიულ წრეებთან საერთაშორისო საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, როგორც ქართულ ასევე უცხო ენაზე;**
- **საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად მცირე კვლევითი ხასიათისა და ანალიტიკური პროექტების განხორციელების უნარი;**
- **პრაქტიკული ან კვლევითი საქმიანობისას კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმების დაცვის უნარი.**

<u>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:</u>

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

საერთაშორისო ურთერთობების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე და პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ინგლისური ენა.
უცხო ენის გამოცდაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 50%-ს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;
ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება:

საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლითა და გაცნობიერებით სტუდენტი იცნობს და აღწერს დარგის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს და მიმართულებებს - როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიები, ეროვნული უსაფრთხოება, მსოფლიო პოლიტიკური ისტორია, საერთაშორისო ორგანიზაციები, პოლიტიკური რეჟიმები და მიმდინარე საკითხები სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში. სტუდენტი ფლობს ფართო ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი სკოლების (რეალიზმი, ლიბერალიზმი, კრიტიკული თეორიები) ძირითადი პრინციპების შესახებ და აკავშირებს აღნიშნულ თეორიებს თანამედროვე პოლიტიკურ მოვლენებთან. სტუდენტი აღწერს სახელმწიფოსა და სხვა აქტორების რაობას და მათ როლს საერთაშორისო საზოგადოებაში. ბაკალავრი არსებული თეორიული ჩარჩოს ფარგლებში განმარტავს სახელმწიფოთა ინტერაქციის ძირითად შედეგებს. ამასთან, სტუდენტი იცნობს მომიჯნავე სფეროების იმ მიმართულებებს, რომლებიც საჭიროა საერთაშორისო ურთიერთობების ათვისებისთვის - როგორიცაა ისტორია, შედარებითი პოლიტიკა, ეკონომიკა, გეოგრაფია, სამართალი. სპეციფიკურად დარგობრივი სფეროების გარდა, სტუდენტი თვალსაწიერის გაფართოების მიზნით, იცნობს ისეთი დარგების ძირითად პრინციპებს, როგორიცაა ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლიტერატურა, რაც მას აძლევს, როგორც ქართულ, ასევე მულტიკულტურულ სივრცეში საქმიანობის შესაძლებლობას.

უნარი:

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსათვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების მეშვეობით, სტუდენტი აანალიზებს მსოფლიო პოლიტიკის მიმდინარე საკითხებს, პრობლემებს და აყალიბებს მისი გადაჭრის სავარაუდო გზებს; შესწავლილ მასალას აკავშირებს მიმდინარე მოვლენებთან და აკეთებს შესაბამის დასკვნებს ცალკეულ შემთხვევათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობებთან, გლობალურ და ეროვნულ უსაფრთხებასთან დაკავშირებულ საკითხებს ისეთ ჭრილში, როგორიცაა სამხედრო ძალა, ეკონომიკური განვითარება, ძალთა ბალანსი, პოლიტიკური სტაბილურობა, ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუციები და სხვა. ბაკალავრი აღნიშნულ საკითხებზე დაყრდნობით, აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს, რომლებიც ითვალისწინებს შესაბამის სოციალურ, სამეცნიერო ან/და ეთიკურ საკითხებს. სტუდენტს შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში შესაბამისი მონაცებემის შეგროვება და განმარტება, მონათესავე სფეროებში არსებულ მონაცემებთან შედარება და მათი დაკავშირების საფუძველზე არსებული დასკვნების ანალიზი.

საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე რეგულარული დისკუსიები, პრეზენტაციები, პროფესიულ და არაპროფესიულ წრეებთან შეხვედრები სტუდენტს უყალიბებს წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარს კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; აკადემიური წერითი უნარების გაღრმავებისა და უცხო ენის ათვისების გზით, ბაკალავრი იუმჯობესებს კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს როგორც ქართულ, ასევე უცხოურ აუდიტორიასთან. სტუდენტს შეუძლია, იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ანგარიშის მომზადება.

წინასწარგანსაზღვრული მითითების შესაბამისად, სტუდენტი სოციალური კვლევის თანამედროვე მეთოდებისა (რაოდენობრივი, თვისებრივი) და კომუნიკაციის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით ასრულებს მცირე კვლევითი ხასიათის პროექტს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სტუდენტს აქვს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით პროფესიული ზრდისკენ სწრაფვა, გააზრებული აქვს ჯგუფურად განსახორციელებელი აქტივობების აუცილებლობა და ტოლერანტულია კოლეგების განსხვავებული აზრისადმი. ბაკალავრი საკუთარ საქმიანობას წარმართავს პროფესიული ეთიკის ნორმების ფარგლებში და აღიარებს პლაგიარიზმისა და სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისების ყველა ფორმის დაუშვებლობას. სტუდენტი იზიარებს მართველობის დემოკრატიულ პრინციპებს. სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობაში ითვალისწინებს საზოგადოებრივ

ინტერესებსა და ღირებულებებს. სტუდენტს გააზრებული აქვს ეროვნული უსაფრთხოებისა და მშვიდობის დაცვის ღირებულებები. ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს.

შედეგი 1. ფლობს პოლიტიკური ისტორიის, ძალაუფლების, რეჟიმებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების შესახებ ფართო ცოდნას;

შედეგი 2. აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების წამყვან სკოლებს: რეალიზმი, ლიბერალიზმი და კრიტიკული თეორიები;

შედეგი 3. აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების წინაშე არსებულ თანამედროვე პრაქტიკულ გამოწვევებს;

შედეგი 4. საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებს აანალიზებს მომიჯნავე დარგების ჭრილში, როგორიც არის შედარებითი პოლიტიკა, ისტორია, სამართალი, ეკონომიკა, პოლიტიკური გეოგრაფია;

შედეგი 5. აქვს კრიტიკული ანალიზის, არგუმენტირებული დასაბუთებისა და პრობლემის გადაჭრის უნარი;

შედეგი 6. აქვს პროფესიულ და არაპროფესიულ აუდიტორიასთან წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი, როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე;

შედეგი 7. ხელმძღვანელის წინასწარი მითითების შესაბამისად, ფლობს მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის, მცირე კვლევითი ხასიათის პროექტის განხორციელების უნარს;

შედეგი 8. ისწრაფვის განვითარებისაკენ, იცნობს და აღიარებს ზოგადი და პროფესიული ეთიკის პრინციპებს და პატივს სცემს განსხვავებულ აზრს.

შედეგებისა და მიზნების რუკა:

აღნიშნული შედეგებისა და მიზნების მატრიცა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

პროგრამის მიზნები	**სწავლის შედეგები**							
	1	2	3	4	5	6	7	8
პროგრამის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი სკოლების, თეორიებისა და პრაქტიკის ფართო ცოდნა;	✓	✓	✓			✓	✓	✓
პროგრამის მიზანია პოლიტიკური აზრისა და ისტორიის ცოდნა;	✓	✓	✓	✓		✓	✓	✓
პროგრამის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების მომიჯნავე სფეროების ზოგადი ცოდნა; საერთაშორისო ურთიერთობების ფართო კონტექსტში გააზრებისათვის საჭირო მრავალმხრივი განათლება;	✓		✓	✓	✓		✓	✓
პროგრამის მიზანია მიმდინარე საერთაშორისო საკითხების გააზრებისა და კრიტიკული ანალიზის უნარი;			✓		✓	✓	✓	
პროგრამის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებულ თეორიებზე დაყრდნობით დასკვის ჩამოყალიბებისა და პრობლემის გადაჭრის უნარი;		✓	✓		✓		✓	
პროგრამის მიზანია პროფესიულ და არაპროფესიულ წრეებთან საერთაშორისო საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, როგორც ქართულ ასევე უცხო ენაზე;					✓	✓		✓
პროგრამის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში წინასწარგანსაზღვრული მითითების შესაბამისად მცირე კვლევითი ხასიათისა და ანალიტიკური პროექტების განხორციელების უნარი;					✓		✓	
პროგრამის მიზანია პრაქტიკული ან კვლევითი საქმიანობისას კეთილსინდისიერების და ეთიკის ნორმების დაცვის უნარი;							✓	✓

სწავლება-სწავლის მეთოდები:

☒ ლექცია

☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა

☒ პრაქტიკული მუშაობა

☒ სემინარი

☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☒ სხვა

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლს მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლება-სწავლის მეთოდებს. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული სასწავლო კურსის მიზანი და შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება უნდა შეძლოს სტუდენტმა. პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

ამასთან, სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და

მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

დასაქმების სფერო:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო სტრუქტურებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო კურსის დაწყებისთანავე.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო კურსის დაწყებისთანავე.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4
B = 3, 2
C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა - საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ შენობაში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals

Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; ImechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმი-საწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

[პროგრამის ხელმძღვანელი:](#)
თორნიკე შარაშენიძე
საქართველო, თბილისი, 0160,
გურამ ფანჯიკიძის ქუჩა, N1/პეკინის გამზირი N42ა
ტელ: (995 32) 2 497545
მობ: (995 599) 199983
e-Mail: t.sharashenidze@gipa.gemailto:

[საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და აღწერილობა:](#)

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა														
№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
			სავალდებულო ზოგადი საგნები	**15**	**20**	**10**		**5**					
1.	BIR 150	არ გააჩნია	ქართული ენის სპეციალური კურსი		4/125							36	89
2.	BIR 160	არ გააჩნია	ლოგიკა		5/125							36	89
3.	BIR 190	არ გააჩნია	მსოფლიო ლიტერატურა I	5/125								36	89
4.	BIR 200	BIR 190	მსოფლიო ლიტერატურა II		5/125							36	89
5.	BIR 180	არ გააჩნია	შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში		5/125							48	77
6.	BIR 181	არ გააჩნია	პოლიტიკურ მოძღვრებათა საფუძვლები		5/125							48	77
7.	BIR 340	BIR 160	ეკონომიკის საფუძვლები					5/125				36	89
8.	BIR 182	არ გააჩნია	შესავალი სამართალმცოდნეობაში			5/125						36	89
9.	BIR 270	არ გააჩნია	პრეზენტაციის უნარები	5/125								36	89
			ინგლისური ენის კომპონენტი	**6**	**6**	**6**	**6**	**6**					
10.	BIR 105	არ გააჩნია	ინგლისური ენა B1.1	6/150								93	57
11.	BIR 110	BIR 105	ინგლისური ენა B1.2		6/150							93	57
12.	BIR 115	BIR 110	ინგლისური ენა B2.1			6/150						93	57
13.	BIR 120	BIR 115	ინგლისური ენა B2.2				6/150					93	57
14.	BIR 125	BIR 120	ინგლისური ენა საერთაშორისო ურთიერთობებისათვის					6/150				93	57
			სპეციალობის სავალდებულო საგნები	**10**	**5**	**16**	**21**	**17**	**23**	**16**	**16**		
15.	BIR 260	არ გააჩნია	შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში	5/125								48	77
16.	BIR 280	არ გააჩნია	შესავალი პოლიტიკურ გეოგრაფიაში				5/125					48	77
17.	BIR 300	არ გააჩნია	საქართველოს ისტორია (ძვ.წ. 1500 - ახ.წ. 1230 წწ.)			5/125						48	77
18.	BIR 320	BIR 300	საქართველოს ისტორია (1230 – 1801)				5/125					48	77
19.	BIR 380	არ გააჩნია	მსოფლიო პოლიტიკური ისტორია I (1500-1801)			5/125						48	77
20.	BIR 400	BIR 380	მსოფლიო პოლიტიკური ისტორია II (1801-1914)				5/125					48	77
21.	BIR 480	BIR 260	მსოფლიო პოლიტიკა			6/150						48	102
22.	BIR 420	BIR 480	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში				6/150					48	102
23.	BIR 440	BIR 260	შესავალი შედარებით პოლიტიკაში						6/150			48	102

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა														
№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
24.	BIR 460	BIR 182	შესავალი საერთაშორისო სამართალში					5/125				48	77
25.	BIR 540	BIR 150	კვლევის მეთოდები					6/150				48	102
26.	BIR 830	არ გააჩნია	პოლიტიკური პროპაგანდა და დეზინფორმაცია	5/125								48	77
27.	BIR 500	BIR 480	ევროკავშირის პოლიტიკა						6/150			32	118
28.	BIR 640	BIR 260	პოლიტიკური იდეოლოგიები					6/150				48	102
29.	BIR 700	BIR 280	საქართველოს სამეზობლოს გეოპოლიტიკა							5/125		48	77
30.	BIR 800	არ გააჩნია	დემოკრატიის საფუძვლები	5/125								48	77
31.	BIR 740	BIR 340	საერთაშორისო ეკონომიკა								6/150	30	120
32.	BIR 520	BIR 260	შესავალი კონფლიქტოლოგიაში						6/150			48	102
33.	BIR 680	BIR 480	აშშ-ს საგარეო პოლიტიკა							5/125		48	77
34.	BIR 870	BIR 480	რუსეთის საგარეო პოლიტიკა							6/150		48	102
35.	BIR 580	BIR 260	ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა						5/125			36	89
36.	BIR 1010	BIR 540	დასკვნითი სასწავლო პროექტი								10/250	30	220
			სპეციალობის არჩევითი საგნები					**6**	**12**	**12**	**6**		
37.	BIR 600	BIR 340	საერთაშორისო განვითარება							6/150		48	102
38.	BIR 630	BIR 280	გლობალიზაცია							6/150		48	102
39.	BIR 590	BIR 460	ენერგოდიპლომატია და უსაფრთხოება						6/150			48	102
40.	BIR 240	არ გააჩნია	კინო და პოლიტიკა						6/150			48	102
41.	BIR 850	BIR 420	ნაციონალიზმის შესავალი						6/150			48	102
42.	BIR 840	BIR 480	საერთაშორისო ორგანიზაციები								6/150	48	102

[1] კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
[2] სტუდენტის სასწავლო დატვირთვა - დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.
[3] საკონტაქტო საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.
[4] დამოუკიდებელი საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა														
№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
43.	BIR 620	BIR 340	საჯარო პოლიტიკის ანალიზის საფუძვლები							6/150		32	118
44.	BIR 220	არ გააჩნია	ომის ევოლუცია							6/150		48	102
45.	BIR 820	BIR 480	ჩინეთის საგარეო პოლიტიკა							6/150		48	102
46.	BIR 860	არ გააჩნია	ფრანგული ენა I					6/150				48	102
47.	BIR 900	BIR 860	ფრანგული ენა II						6/150			48	102
48.	BIR 950	არ გააჩნია	ესპანური ენა I					6/150				48	102
49.	BIR 955	BIR 950	ესპანური ენა II						6/150			48	102
50.	BIR 970	BIR 460	ევროკავშირის სამართალი								6/150	48	102
51.	BIR 980	BIR 480	ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა								6/150	48	102
52.	BIR 985	BIR 170	კონფლიქტები და საერთაშორისო სამართალი								5/125	32	118
53.	BIR 990	BIR 181	თანამედროვე საქართველოს ჩამოყალიბება								6/150	32	118
54.	BIR 1000	BIR 300	პატარა ქვეყნები საერთაშორისო პოლიტიკაში								6/150	42	108
55.	BIR 1001	არ გააჩნია	სასწავლო პრაქტიკა								6/150	30	120
56.			თავისუფალი კომპონენტი[5]								15		
სემესტრში				**31**	**31**	**32**	**27**	**34**	**35**	**28**	**22**		
წელიწადში				**62**		**59**		**69**		**50**			

სწავლის შედეგების რუკა

[5] საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს უფლება აქვს სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად, უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი, მაგრამ არა უმეტეს 15 კრედიტისა. სტუდენტი ვალდებულია აირჩიოს კურიკულიმით შეთავაზებული რომელიმე მეორე უცხო ენა (გარდა ინგლისური ენისა).

პროგრამის თითოეული შედეგისთვის განისაზღვრა სამდონიანი იერარქია: I, D, M და პრაქტიკული კომპონენტი P, საიდანაც I აღნიშნავს მოცემული საგნის შედეგზე გასვლას გაცნობით დონეზე (Introduction), D აღნიშნავს გაღრმავებას (Developement), M აღნიშნავს განმტკიცებას (Mastering), ხოლო P აღნიშნავს მოცემული საგნის მოცემულ შედეგს პრაქტიკაში (Practice). შესაძლებელია, რომ საგანი გადიოდეს შესავლის და პრაქტიკის (IP), პრაქტიკისა და გაღრმავების (DP) ან პრაქტიკისა და განმტკიცების (PM) დონეზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, თითოეული შედეგის გასწვრივ მოცემულია ნიშნულების სვეტი. შესაბამისი ნიშნულისა და საგნის თანაკვეთის უჯრაში, მაშინ როდესაც საგნის გავლა იწვევს შედეგის რომელიმე დონეზე გასვლას, მითითებული პროცენტული მაჩვენებელი ასახავს საგანში დადებითი ნიშნის მიღების მიზნობრივ ნიშნულს. დაშვებული გადახრა თითოეული ნიშნულისთვის 15%-ს შეადგენს.

სრული პროგრამული ციკლის დასრულების შედეგების საფუძველზე ფასდება პროგრამული შედეგები. პროგრამის შედეგებისთვის ნიშნულების შეფასება ხდება დამამთავრებელი კურსის დასკვნითი სასწავლო პროექტის მიხედვით. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამისთვის შესრულებული დასკვნითი სასწავლო პროექტი უნდა ეხებოდეს საერთაშორისო ურთიერთობების თემატიკას. პროექტის თემატიკა შეიძლება მოიცავდეს საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის, ისტორიის, უსაფრთხოებისა და სხვა ისეთ საკითხებს, რომლებიც სწავლების პერიოდში იქნა დაფარული და კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

ამგვარად, პროგრამის სასწავლო გეგმაში შემავალი საგნები თანმიმდევრულად და ეტაპობრივად აძლევენ შესაბამის ცოდნას პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს. თითოეული კურსის გავლის შედეგად სტუდენტი ფლობს გარკვეულ კომპეტენციას კონკრეტული მიმართულებით, ხოლო მთლიანად შეძენილი ცოდნისა და გამომუშავებული უნარ-ჩვევების საფუძველზე ასრულებს დასკვნითი სასწავლო პროექტს და საბოლოოდ გადის იმ რვა შედეგობრივ მაჩვენებელზე, რომელთა შეფასება ხდება წინასწარ შემუშავებული ნიშნულების მიხედვით.

საგანი/ მოდული	1	2	3	4	5	6	7	8
აკადემიური წერა						IP	I	IP
პრეზენტაციის უნარები					IP	IP	IP	IP
ლოგიკა					IP		IP	
მსოფლიო ლიტერატურა I					I	IP		IP
მსოფლიო ლიტერატურა II					I	IP		DP
შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში					I			IP
ფსიქოლოგიის საფუძვლები					I	I		
პოლიტიკურ მოძღვრებათა საფუძვლები	I		I	I	I			
შესავალი სამართალმცოდნეობაში	I		I	I	I			
დემოკრატიის საფუძვლები	I				I			IP
ინგლისური ენა B1.1						IP		
ინგლისური ენა B1.2						DP		
ინგლისური ენა B2.1						DP		
ინგლისური ენა B2.2						MP		
ინგლისური ენა საერთაშორისო ურთიერთობებისათვის		I				MP	D	
შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში	I		I			I		
შესავალი პოლიტიკურ გეოგრაფიაში				I		I		
პოლიტიკური პროპაგანდა და დეზინფორმაცია	I		IP	I	I			
საქართველოს ისტორია (ძვ.წ. 1500 - ახ.წ. 1230 წწ.)	I			I				
საქართველოს ისტორია (1230 – 1801)	I			D				
ეკონომიკის საფუძვლები	I		I					
მსოფლიო პოლიტიკური ისტორია I (1500-1801)	I	I	I	D		I		
მსოფლიო პოლიტიკური ისტორია II (1801-1914)	D	D	D	D		D	D	
მსოფლიო პოლიტიკა	DP	DP	DP			D	DP	
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში	D	D			DP		DP	D
შესავალი შედარებით პოლიტიკაში	DP		DP	MP			DP	
ევროკავშირის პოლიტიკა	DP	DP	DP	D		D	DP	
შესავალი საერთაშორისო სამართალში		D	D	DP				D
ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა	MP		MP				MP	

საერთაშორისო ეკონომიკა	MP	D	MP	DP			MP	
კვლევის მეთოდები				D	MP	MP	MP	MP
პოლიტიკური იდეოლოგიები		M	M		M			
საქართველოს სამეზობლოს გეოპოლიტიკა	MP		MP					
შესავალი კონფლიქტოლოგიაში	MP		MP		M		MP	M
აშშ-ს საგარეო პოლიტიკა	MP	D	MP		M		MP	
დასკვნითი სასწავლო პროექტი	M	M	M	M	M	M	M	M

დანართი №1

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	თორნიკე შარაშენიძე			
თანამდებობა	სამართლის და პოლიტიკის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი			
სამუშაო ადგილი	ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	+(995) 599 199983	ელ-ფოსტა:	t.sharashenidze@gipa.ge
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	დისერტაციის სათაური: იდეოლოგიებისა და გეოპოლიტიკური კონცეფციების შესაძლო გავლენა რუსეთის ქცევაზე საერთაშორისო პოლიტიკაში (2010) კვლევების სფეროები: დიპლომატიის ისტორია, რეგიონული უსაფრთხოება, რუსეთის საგარეო პოლიტიკა			
პუბლიკაციები	- დიპლომატიის ისტორია - 1930-1939 წლები (წიგნი, 2021); - დიპლომატიის ისტორია, 1890-1920 (წიგნი. 2015);			

	- დიპლომატიის ისტორია, მე-19 საუკუნე (წიგნი. 2013); - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალის GIPA Journal of Politics and Democratization რედაქტორი; - NATO AS Viewed from Tbilisi and Moscow (Georgian Foundation for Strategic and International Studies, Friedrich Ebert Stiftung. 2017); - Ukraine Crisis' Impact on South Caucasus (Ukraine Analytica. 2015); - ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისიის აღმასრულებელი მდივანი (2010-2011) - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (2009-2011)

დანართი №2

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

დანართი №2

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1.	ქეთევან ჭელიძე	მოწვეული ლექტორი	• ინგლისური ენა B1.2; • ინგლისური ენა B2.2;
2.	თეო გელენიძე	მოწვეული ლექტორი	• ინგლისური ენა B2.1;
3.	ზურა რევაზიშვილი	მოწვეული ლექტორი	• ინგლისური ენა B2.1;
4.	გიორგი ხეოშვილი	მოწვეული ლექტორი	• ლოგიკა;
5.	ნატა ვაჩეიშვილი	მოწვეული ლექტორი	• ქართული ენის სპეციალური კურსი;
6.	ქეთევან მუხიგული	ასოცირებული პროფესორი	• შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში;

7.	ლევან ბერძენიშვილი	მოწვეული ლექტორი	• მსოფლიო ლიტერატურა I; • მსოფლიო ლიტერატურა II;
8.	ზვიად ბარქაია	ასისტენტ პროფესორი	• შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში; • შესავალი შედარებით პოლიტიკაში; • საჯარო პოლიტიკის პოლიტიკის ანალიზი საფუძვლები;
9.	იონა ცინცაძე	მოწვეული ლექტორი	• აშშ-ს საგარეო პოლიტიკა; • პატარა ქვეყნები საერთაშორისო პოლიტიკაში
10.	გიორგი კობერიძე	ასისტენტ პროფესორი	• შესავალი პოლიტიკურ გეოგრაფიაში; • დემოკრატიის საფუძვლები; • მსოფლიო პოლიტიკური ისტორია I; • პოლიტიკური იდეოლოგიები; • პოლიტიკურ მოძღვრებათა საფუძვლები; • საქართველოს სამეზობლო გეოპოლიტიკა;
11.	ნიკა ხოფერია	ასისტენტ პროფესორი;	• საქართველოს ისტორია (ძვ.წ. 1500 - ახ.წ. 1230 წწ.); • საქართველოს ისტორია (1230 – 1801); • ომის ევოლუცია; • მსოფლიო პოლიტიკური ისტორია II (1801-1914);
12.	თორნიკე შარაშენიძე	პროფესორი;	• შესავალი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში; • მსოფლიო პოლიტიკა; • კინო და პოლიტიკა;

			• რუსეთის საგარეო პოლიტიკა;
13.	ნიკოლოზ მელქაძე	ასისტენტ პროფესორი	• შესავალი საერთაშორისო სამართალში; • საერთაშორისო ორგანიზაციები;
14.	ლაშა დავითაძე	მოწვეული ლექტორი	• შესავალი კონფლიქტოლოგიაში; • ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა;
15.	გიორგი ჩერქეზიშვილი	მოწვეული ლექტორი	• ეკონომიკის საფუძვლები; • საერთაშორისო განვითარება;
16.	თინათინ გელეყვა	მოწვეული ლექტორი	• ფრანგული ენა I; • ფრანგული ენა II; • ფრანგული ენა III;
17.	ამალია მხითარიანი	მოწვეული ლექტორი	• ესპანური ენა I; • ესპანური ენა II;
18.	ეკატერინე ჭავჭანიძე	მოწვეული ლექტორი	• ნაციონალიზმის შესავალი; • გლობალიზაცია; • ევროკავშირის პოლიტიკა; • ინგლისური ენა საერთაშორისო ურთიერთობებისათვის
19.	გრიგოლ ჯულუხიძე	მოწვეული ლექტორი	• პოლიტიკური პროპაგანდა და დეზინფორმაცია;
20.	ირაკლი სოკოლოვსკი	პროფესორი	• საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი;
21.	ირინა ბაქრაძე	მოწვეული ლექტორი	• პრეზენტაციის უნარები;

22.	გიორგი ტომარაძე	მოწვეული ლექტორი	• კონფლიქტები და საერთაშორისო სამართალი;
23.	რევაზ ბახტაძე	მოწვეული ლექტორი	• ჩინეთის საგარეო პოლიტიკა; • კვლევის მეთოდები;
24.	გიორგი ჯავახიშვილი	მოწვეული ლექტორი	• თანამედროვე საქართველოს ჩამოყალიბება;
25.	ნატო ბალავაძე	მოწვეული ლექტორი	• საერთაშორისო ეკონომიკა;
26.	ლევან ასათიანი	მოწვეული ლექტორი	• ახლო აღმოსავლეთი;
27.	რევაზ ჩხეიძე	მოწვეული ლექტორი	• ევროკავშირის სამართალი;
28.	ლევან თოთლაძე	ასოცირებული პროფესორი	• შესავალი სამართალმცოდნეობაში.
29.	ნანა ფირცხელანი	მოწვეული ლექტორი	• ენერგოდიპლომატია და უსაფრთხოება